სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება - ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი

„დამტკიცებუ
ლია“
აკადემიური საბჭოს სხდომაზე
2025წლის 12.09. (ოქმი N13)

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი/ Business Administration and Sports Management

2. უმაღლესი განათლების საფეხური

პირველი (ბაკალავრიატი)

3. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე

მეექვსე

4. კვალიფიკაციის დასახელება

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში

5. სწავლის სფეროების კლასიფიკატორის კოდი და დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)

0413

6. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, ECTS კრედიტები და მათი განაწილება

საბაკალავრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი მოიცავს 240 კრედიტს, პროგრამის ხანგრძლივობაა 4 სასწავლო წელი.

სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით, ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს, მათ შორის შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის, ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს სავალდებულო სასწავლო კურსების 180 კრედიტს (მათ შორის პრაქტიკის 10 კრედიტს) და არჩევითი სასწავლო კურსების 60 კრედიტს. პროგრამის სტრუქტურა კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად:

თავისუფალი კომპონენტები - სავალდებულო სასწავლო კურსები - 40
კრედიტი; თავისუფალი კომპონენტები - არჩევითი სასწავლო კურსები - 30
კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები 125
კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 35
კრედიტი; პრაქტიკის კომპონენტი (სტაჟირება) - 10 კრედიტი.

7. სწავლების ენა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

ქართული, მისამართი: თბილისი,: ვაჟა-შაველას გამზ. 76ბ;
ე. ნინოშვილის ქ. N55

8. პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, თანახელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი - ვასილ ლიპარტელიანი
თანახელმძღვანელი - ზურაბ ბერუკაშვილი

9. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამის ,,ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი" სტუდენტი შეიძლება გახდეს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული დადებითი ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე - ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნებია: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური ენა / გერმანული ენა / ფრანგული ენა ან რუსული ენა) და მათემატიკა ან ისტორია.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარია კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა.
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და ვადებში:
ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური
განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი
განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/ კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი

საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

,,ა", ,,ბ" და ,,გ" პუნქტით განსაზღვრული პირები ვალდებული არიან გაიარონ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გასაუბრება პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით. „დ" პუნქტით გათვალისწინებული პირები უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

პროგრამა უზრუნველყოფს ინგლისური ენის B2 დონის მიღწევას. სტუდენტი უფლებამოსილია ინგლისური ენის ცოდნის დონე დაადასტუროს შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციის ,,ენობრივი კომპეტენციის განსაზღვრისა და დადასტურების წესის" შესაბამისად. ამ შემთხვევაში სტუდენტი ინგლისური ენის სწავლას იწყებს გამოცდის შედეგად განსაზღვრული დონიდან. თუ სტუდენტი საჭიროებს ინგლისური ენის საწყისი დონიდან დაწყებას, მას საშუალება აქვს აღნიშნული დონეები გაიაროს პროგრამის თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსების ფარგლებში, ხოლო მაღალი დონის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი კრედიტები შეივსოს არჩევითი სასწავლო კურსებიდან. სტუდენტს საშუალება აქვს არჩევითი სასწავლო კურსები გაიაროს უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის პროგრამებიდან წინაპირობის დაცვით.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: აღზარდოს პიროვნება, რომელსაც ექნება ბიზნესის ადმინისტრირებასა და სპორტის მენეჯმენტის სფეროებში მუშაობის შესაბამისი კომპეტენცია ადგილობრივ თუ საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის. ასევე ექნება ზოგადი განათლება, მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა და სოციალური პასუხისმგებლობა.

პროგრამა შედგენილია საქართველოს კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ ბაზარზე არსებული საჭიროებების ხედვისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამის მიზანს საფუძვლად უდევს საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წლის 22 მაისის N127 დადგენილებით დამტკიცებული სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი (2014-2020წწ), საქართველოში მოქმედი სპორტის ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებთან და მათთან კომუნიკაციის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები, შრომის ბაზრის ტენდენციების ანალიზი. პროგრამა ითვალისწინებს უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების (ჩიკაგოს ლაიოლა უნივერსიტეტის, მინესოტას უნივერსიტეტის, ოკლაჰომას უნივერსიტეტის, სამხრეთ კაროლინას უნივერსიტეტის, სენტ ტომას უნივერსიტეტის - ყველა აშშ) ბიზნესის სკოლების შესაბამის გამოცდილებას, პროგრამის არსებულ რედაქციაში გათვალისწინებულია გარე შეფასების შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები, ასევე მინესოტას უნივერსიტეტის პროფესორის შეფასება. პროგრამა იზიარებს ბიზნესის ადმინისტრირებაში სპორტის მენეჯმენტისათვის დადგენილ პროფესიულ სტანდარტებს, რაც გულისხმობს: საქმიანობის სფეროს ფართო ცოდნას, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას; სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებას კომპლექსური პრობლემების გადასაჭრელად; კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვებას და განმარტებას, ასევე განყენებული მონაცემებისა ან/და სიტუაციების ანალიზს სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით და შეფასებას, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სოციალურ, სამეცნიერო და ეთიკურ საკითხებს; იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას და სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის გადაცემას ქართულ და უცხოურ ენებზე; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას; კომპლექსური და განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვას; არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში პასუხისმგებლობის აღებას; საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივადშეფასებას; შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები
საგანმანათლებლოპროგრამისკურსდამთავრებული: 1. მსჯელობს მენეჯმენტის სფეროს თეორიებსა და პრინციპებზე კრიტიკული გააზრებით; 2. ახდენს ბიზნესის ადმინისტრირებასთან და მენეჯმენტთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს; 3. თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციოსაშუალებების გამოყენებით შეიმუშავებს მენეჯმენტის, მათ შორის სპორტის სფეროსთან დაკავშირებული პრაქტიკული ხასიათის ნაშრომს/პროექტს; 4. ამზადებს პრობლემის აღწერისა და მისი გადაჭრის გზების მითითებით შესაბამის წერილობით ანგარიშს. სახელმწიფო ენას იყენებს აკადემიურ და სამეცნიერო საკითხებზე კომუნიკაციის დროს; 5. განმარტავს თუ როგორ მოქმედებს მენეჯმენტის მიდგომები სპორტული ორგანიზაციების და სპორტის ინდუსტრიის ყველა ასპექტზე; 6. აიდენტიფიცირებს სპორტული ორგანიზაციების ამჟამინდელ პრობლემებსა და მენეჯმენტის სტრატეგიებს, რომლებიც საჭიროა სპორტული ბიზნესის გამოწვევებისგადასაჭრელად; 7. აღწერს და განმარტავს ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროსთან დაკავშირებულ სიტუაციურ მაგალითებს სოციალური, სამეცნიერო და ეთიკური საკითხების გათვალისწინებით; 8. სპეციალისტებს და არასპეციალისტებს აწვდის სფეროსთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციას როგორც წერილობით, თანამედროვე საშუალებების გამოყენებით, ასევე ზეპირსიტყვიერად.
სწავლა-სწავლებისმეთოდები
სწავლება-სწავლის მეთოდებად გამოიყენება ინდივიდუალური მიდგომები, რომელიც ასახულია სილაბუსებში, მათ შორისაა - ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკა და სხვა (იხ. სილაბუსებში). სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ. სასწავლო კურსში კონკრეტული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენება ხდება კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. ლექტორს, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, უფლება აქვს მიუთითოს და გამოიყენოს მეთოდები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული პროგრამაში ან/და კურსის შინაარსიდან გამომდინარე, არ გამოიყენოს პროგრამაში მითითებული სწავლებისა და სწავლის ნებისმიერი მეთოდი.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმების გამოყენებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.

შეფასების სისტემა უშვებს:

<u>ხუთი ს ახის და დებ ით შეფ ასება ს:</u>

ა) (A) ფრიადი –მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

<u>ორი სახის უ არ ყოფით შეფა სებ ას:</u>

ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;

ზ) (F) ჩაიჭრა– მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დამატებით გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

როგორც აღვნიშნეთ, სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან. საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 60 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 40 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 60 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სტუდენტმა ყველა საგანში შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 60 ქულის სულ მცირე 40%+1, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 40 ქულის სულ მცირე 40%.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულები შეიძლება დასაქმდნენ სპორტის, როგორც სახელმწიფო, ისე კომერციულ დაწესებულებებში, სპორტულ ფედერაციებში, სპორტულდა ფიტნეს კლუბებში, გუნდებში, სპორტულ საწარმოებში და სხვა დაწესებულებებში, სადაც ესაჭიროებათ როგორც სპორტის მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების, ასევე ზოგადი მენეჯმენტის სფეროს ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სტუდენტმა, რომელმაც დაასრულა საბაკალავრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი“, შეუძლია სწავლა და კვლევითი მუშაობა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ პროგრამა

უზრუნველყოფილია მისი განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსებით.

ადამიანური რესურსები წარმოდგენილია ადგილობრივი აკადემიური და მოწვეული პერსონალით, რომელთაც აქვთ სათანადო კვალიფიკაცია და წარმატებული გამოცდილება (იხ. დანართში).

სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა დამატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები; Students.sportuni.ge სტუდენტთა პორტალი. Students.sportuni.ge-ზე სტუდენტები ეცნობიან თავიანთ შეფასებას – დასწრება, აქტიურობა, ზეპირი გამოცდა, ქვიზის შეფასება; აგრეთვე ზემოთ ხსენებული პორტალი გამოიყენება სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ.
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა (ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ);
- უცხოენოვანი სასწავლო მასალები პროგრამის სილაბუსებში გამოიყენება ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის რიდერების სახით (ელექტრონული სახელმძღვანელოები, პერიოდული გამოცემები და ა.შ). სტუდენტს აქვს ელექტრონული წვდომა სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი არის პროექტის „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის - eIFL” მონაწილეთა კონსორციუმის წევრი, რომლის ფარგლებშიც აქვს წვდომა შემდეგ ელექტრონურ რესურსებთან და ბაზებთან:

- BioOne Complete
- Royal Society Journals Collection
- Edward Elgar Publishing Journais and Development Studies e-books
- Sage Premier
- Cambridge Journals Online
- e-Duke Journals Scholarly Collection
- Openedition Journals

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სპორტის მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, პრაქტიკის კომპონენტი (სტაჟირება) სავალდებულოა და სტუდენტები გაივლიან მას საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციაში, საქართველოს სპორტინგის ფედერაციაში,

საქართველოს ფედერაცია „სპორტი ყველასათვის“, საქართველოს კრივის ფედერაციაში, ქართული ტრადიციული სპორტის ასოციიციაში, ბავშვთა სპორტის ფედერაციაში, საქართველოს უშუს ფედერაციაში, ეროვნული ჩულიზენგის ფედერაციაში, ეროვნული საწყლოსნო სპორტის ფედერაციაში, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციაში და სხვ.
ინფორმაცია პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ
პროგრამა ხორციელდება პროგრამის ბიუჯეტიდან.
დამატებითი ინფორმაცია
პროგრამას სრული დატვირთვის შემთხვევაში შეუძლია მოემსახუროს 400 სტუდენტს.
პროგრამის სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის დასახელება	წინაპირობა	სასწავლ ო კურსის სტატუს ი	ECTS კრედიტებ ი ს რაოდენობა	კრედიტების განაწილება								ლექტორი
					სემესტრები								
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
	საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტები- სავალდებულო სასწავლო კურსები1			40	30	30	30	30	30	30	30	30	240
1.	ინგლისური ენა B 1	-	სავალდ.	5	5								ასოც. პროფესორი მარიამ კილანავა უფროსი მასწავლებელი ვიოლეტა მელაშვილი
2.	ინგლისური B 2.1	ინგლისური B 1	სავალდ.	5		5							ასოც. პროფესორი მარიამ კილანავა მოწვეული ლექტორი სალომე ქარჩავა
3.	ინგლისური B 2.2	ინგლისური B 2.1	სავალდ.	5			5						ასოც. პროფესორი მარიამ კილანავა მოწვეული ლექტორი სალომე ქარჩავა

1 *ტერმინი „საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტები - სავალდებულო სასწავლო კურსები“ გულისხმობს სავალდებულო სასწავლო კურსებს პროგრამის მიზნის მისაღწევად და კურსდამთავრებულის ზოგადი ცოდნის გასაღრმავებლად*

4.	საინფორმაციო ტექნოლოგიები 1	-	სავალდ.	5	5								ასოც. პროფესორი თემურ გოგნაძე
5.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	-	სავალდ.	5	5								ასოც. პროფესორი მარიამ პაპიაშვილი
6.	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი [1]	-	სავალდ.	5	5								ასოც. პროფესორი ნესტან ეგეტაშვილი
7.	სოციოლოგიის საფუძვლები	-	სავალდ.	5		5							ასოც. პროფესორი ნინო ძაგანია
8.	საინფორმაციო ტექნოლოგიები 2	საინფ. ტექნოლოგიები 1	სავალდ.	5		5							ასოც. პროფესორი თემურ გოგნაძე
	საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტები - არჩევითი სასწავლო კურსები2			30			5	5	5	**5**	**5**	5	
1.	საქართველოს ისტორია	-	არჩევითი	5									მოწვეული ლექტორი დავით აზალაძე
2.	საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია	-	არჩევითი	5									მოწვეული ლექტორი ლევან ალფაიძე
3.	მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია	-	არჩევითი	5									პედაგოგი ზაზა ჯაფარიძე
4.	მსოფლიო რეგიონული გეოგრაფია	-	არჩევითი	5									მოწვეული ლექტორი ლევან ალფაიძე
	საგანმანათლებლო პროგრამის												
	ძირითადისწავლისსფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები			125									
1.	კალკულუსი	-	სავალდ.	5	5								ასოც. პროფესორი მალხაზ ბიბილური
2.	ბიზნესის საფუძვლები	-	სავალდ.	5	5								ასოც. პროფესორი დავით დუგლაძე
3.	მიკროეკონომიკის საფუძვლები	-	სავალდ.	5		5							ასოც. პროფესორი დავით ობოლაძე

2 საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში , სტუდენტი უფლებამოსილია, არჩევანი გააკეთოს როგორც წინამდებარე პროგრამაში წარმოდგენილი არჩევითი სასწავლო კურსებიდან, ასევე, უნივერსიტეტში შესაბამის საფეხურზე მოქმედი ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობის დაცვით (20 კრედიტის მოცულობით).

4.	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	-	სავალდ.	5		5							მოწვეული ლექტორი მარინა ორტოლაშვილი
5.	მენეჯმენტის საფუძვლები	-	სავალდ.	5		5							მოწვეული ლექტორი

[1] სასწავლო კურსი სავალდებულოა 2025-2026 სასწავლო წლიდან ჩარიცხული სტუდენტებისთვის. სტუდენს, რომელმაც სტუდენტის სტატუსი მოიპოვა 2025-2026 სასწავლო წლამდე, უფლებამოსილია შესაბამისი მოცულობის სასწავლო კურსი გაიაროს საგანმანათლებლო ,,პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან“

													მურად ფახურიძე
1.	მაკროეკონომიკის საფუძვლები	მიკროეკონომიკის საფუძვლები	სავალდ.	5			5						ასოც. პროფესორი დავით ობოლაძე
7.	ბიზნეს მოლაპარაკება და საკომინიკაციო უნარები	-	სავალდ.	5			5						ასოც. პროფესორი დავით დუგლაძე
8.	მარკეტინგის საფუძვლები	-	სავალდ.	5			5						მოწვეული ლექტორი ზურაბ ბერუკაშვილი
9.	სტატისტიკა ბიზნესისათვის	კალკულუსი	სავალდ.	5			5						ასოც. პროფესორი მალხაზ ბიბილური
10.	ფინანსური აღრიცხვა	ბუღალტრული აღრიცხვის საფ.	სავალდ.	5				5					მოწვეული ლექტორი ლელა პატარაია
11	სამართლის საფუძვლები	-	სავალდ.	5				5					ასოც. პროფესორი მაგდა ბზიკაძე
12/.	ბიზნეს ინგლისური	ინგლისური ენა B2.2	სავალდ.	5				5					ასოც.პროფ. მარიამ კილანავა
13.	ლიდერობა	მენეჯმენტის საფუძვლები	სავალდ.	5				5					ასოც. პროფესორი ნიკოლო გოგოლაძე ასოც. პროფესორი მურად ფახურიძე
14.	ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები	მენეჯმენტის საფუძვლები	სავალდ.	5				5					ასოც. პროფესორი მარიამ პაპიაშვილი
15.	მმართველობითი აღრიცხვა	ფინანსური აღრიცხვა	სავალდ.	5					5				მოწვეული ლექტორი ლელა პატარაია
16.	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები	სავალდ.	5					5				ასოც. პროფესორი ნიკოლოზ გოგოლაძე
17.	სტრატეგიული მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები	სავალდ.	5					5				მოწვეული ლექტორი ბესარიონ სიმონიშვილი
17.	ბიზნეს სამართალი	სამართლის საფუძვლები		5					5				ასოც. პროფესორი მაგდანა ბზიკაძე
19.	პროექტების მენეჯმენტი	საინფორმაციო ტექნოლოგიები 2; მენეჯმენტის საფუძვლები	სავალდ.	5					5				პროფესორი მაია მარგველაშვილი
20.	სპორტის ეკონომიკა	მაკროეკონომიკის საფუძვლები	სავალდ.	5						5			ასოც. პროფესორი დავით ობოლაძე
21.	სპორტის მარკეტინგი	მარკეტინგის საფუძვლები	სავალდ.	5						5			ასისტ. პროფესორი შოთა გოგიტაური
22.	ოპერაციული მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები	სავალდ.	5						5			ასისტ. პროფესორი შოთა გოგიტაური

23.	სპორტის მენეჯმენტი		სავალდ.	5						5			
		მენეჯმენტის											ასოც. პროფესორი ვასილ ლიპარტელიანი
		საფუძვლები											
24.	გაყიდვები და ფინანსების მოზიდვა სპორტში	სპორტის მარკეტინგი	სავალდ.	5							5		ასისტ. პროფესორი შოთა გოგიტაური შ შოთა გოგიტაური
25.	სპორტული ღონისძიებების მენეჯმენტი	სპორტის მენეჯმენტი	სავალდ.	5							5		პროფესორი მაია მარგვილაშვილი
	საგანმანათლებლო პროგრამის										20	15	
	ძირითადისწავლისსფეროს			35									
	არჩევითისასწავლოკურსები												
	***												
1.	სოციალური ასპექტები სპორტში	სპორტის მენეჯმენტი	არჩევითი	5								5	ასოც. პროფ. ნინო ძაგანია
2.	სტრატეგიული კომუნიკაცია სპორტში	ბიზნეს მოლაპარაკება	არჩევითი	5								5	ასოც. პროფესორი მარიამ
		და საკომინიკაციო											პაპიაშვილი
		უნარები											
3.	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი სპორტში	მენეჯმენტის საფუძვლები	არჩევითი	5							5		ასოც. პროფესორი ნიკოლოზ გოგოლაძე
4.	სპორტული ორგანიზაციების	სპორტის მენეჯმენტი	არჩევითი	5							5		ასისტენტ-პროფესორი შოთა გოგიტაური
	მენეჯმენტი												
5.	გლობალიზაცია და სპორტი	-	არჩევითი	5								5	მოწვეული ლექტორი ზაზა ჯაფარიძე
6.	სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორია	-	არჩევითი	5							5	5	პროფესორი ჯემალ ძაგანია ასოც. პროფესორი მამუკამაღლაკელიძე
7.	სპორტის ფილოსოფია	-	არჩევითი	5							5	5	მოწვეული ლექტორი არსენ ბურჯალიანი

8.	სპორტისა და ვარჯიშის ფსიქოლოგიის საფუძვლები	ფსიქოლოგიის საფუძვლები	არჩევითი	5							5	5	ასოც. პროფესორი მარიამ პაპიაშვილი
9.	სპორტის ბიზნესის მენეჯმენტი	სპორტის მენეჯმენტი	არჩევითი	5							5	5	ასოც. პროფესორი დავით დუგლაძე
10.	სპორტული დიპლომატია	-	არჩევითი	5							5	5	მოწვეული ლექტორი ზაზა ჯაფარიძე
11.	სპორტის სახელმწიფო მართვისა და პოლიტიკის საფუძვლები	-	არჩევითი	5							5	5	მოწვეული ლექტორი მაგდა ბზიკაძე
12.	ინოვაციები, ტექნოლოგიები და კვლევა სპორტში	-	არჩევითი	5							5	5	ასოც. პროფესორი ირაკლი დოლაბერიძე ასოც. პროფესორი მურად ფახურიძე
13.	ლოჯისტიკა სპორტში	-	არჩევითი	5							5	5	ნანა შაშიაშვილი
14.	სოციალური ფსიქოლოგია	-	არჩევითი	5							5	5	ასოც. პროფესორი მარია პაპიაშვილი
15.	შესავალი მასპინძლობასა და ტურიზმში	-	არჩევითი	5							5	5	პროფესორი მაია მარგველაშვილი
	პრაქტიკის კომპონენტი			10									
	სტაჟირება	I-VII სემესტრის	სავალდ.	10							10		ასოც. პროფესორი ვასილ ლიპარტელიანი
	სულ:			240									

სწავლის შედეგების რუკა

სასწავლო კურსი უზრუნველყოფს: 1 - გაცნობას, 2- გაღრმავებას, 3-განმტკიცებას.

№	კურსის დასახელება		პროგრამის სწავლის შედეგები						
		1	2	3	4	5	6	7	8
	საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტები -სავალდებულო სასწავლო კურსები								
1.	ინგლისური B 1								**1**
2.	ინგლისური B 2.1								**2**
3.	ინგლისური B 2.2								**2**
4.	საინფორმაციო ტექნოლოგიები 1		**1, 2**	**1, 2**					
5.	საინფორმაციო ტექნოლოგიები 2		**2, 3**	**2, 3**					**3**
6.	სოციოლოგიის საფუძვლები				**1**				**2**
7.	ფსიქოლოგიის საფუძვლები		**1**						**1**
8.	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი				**1, 2**				
	საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი								

	სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები								
1.	კალკულუსი		**1**	**2**	**1**				
2.	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები		**1**			**1**			**1**
3.	მიკროეკონომიკის საფუძვლები	**1, 2**	**1**		**1**	**1**			**1**
4.	მაკროეკონომიკის საფუძვლები	**1, 2**	**2**			**2**	**1**		**1**
5.	სამართლის საფუძვლები								
6.	ბიზნეს სამართალი					**2**			**2**
7.	ბიზნეს მოლაპარაკება და საკომინიკაციო უნარები				**2**			**2**	**2**
8.	მარკეტინგის საფუძვლები		**2**			**2**			**2**
9.	ფინანსური აღრიცხვა		**2**			**2**			**2**
10.	მენეჯმენტის საფუძვლები	**1**	**1**						**1**
11.	მმართველობითი აღრიცხვა		**2, 3**			**2, 3**			**2, 3**
12.	ბიზნესის საფუძვლები				**2**			**3**	**2**
13.	ოპერაციული მენეჯმენტი		**3**				**3**		**3**
14.	სტრატეგიული მენეჯმენტი	**3**	**3**		**3**				**3**
15.	სტატისტიკა ბიზნესისათვის		**3**		**2**				**3**
16.	ბიზნეს ინგლისური 1								**2, 3**
17.	ბიზნეს ინგლისური 2								**3**
18.	ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები		**2**		**2**				**2**
19.	ლიდერობა		**2**		**3**		**3**		**3**
20.	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	**2**					**3**	**3**	**3**
21.	მეწარმეობა		**2**		**2**				**3**

22.	პროექტების მენეჯმენტი		3	3	3				3
23.	სპორტის ეკონომიკა	3			3		3		3
24.	სპორტის მენეჯმენტი	3	3	3	3	3	3		3
25.	სპორტის მარკეტინგი		3		3	3			3
26.	სპორტული ღონისძიებების მენეჯმენტი		3	3	3		3		3
27.	გაყიდვები და ფინანსების მოზიდვა სპორტში		3			3	3		3
	პრაქტიკის კომპონენტი								
28.	პრაქტიკა		3		3		3	3	3

ინფორმაცია განმახორციელებელი პერსონალის შესახებ				
N	***გვარი, სახელი***	***აკადემიური თანამდებობა***	***აკადემიური ხარისხი***	***სასწავლო კურსები***
1.	ლიპარტელიანი ვასილ	ასოცირებული პროფესორი	სპორტის მეცნიერებათა დოქტორი	სპორტის მენეჯმენტი; სტაჟირება.
2.	გოგნაძე თემურ	მოწვეული ლექტორი	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი	საინფორმაციო ტექნოლოგიები
3.	მარიამ კილანავა	ასოც. პროფესორი	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	ინგლისური ენა B1.1; B 1.2; B2.1; B2.2; ბიზნეს ინგლისური 1.2
4.	მელაშვილი ვიოლეტა	უფროსი მასწავლებელი	ფილოლოგიის მაგისტრი	ინგლისური ენა B1.1; B 1.2;
5.	ძაგანია ჯემალ	პროფესორი	პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი	სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორია
6.	გოგიაშვილი ომარ	მოწვეული ლექტორი	ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი	საქართველოს ისტორია
7.	ნინო ძაგანია	ასოცირებული პროფესორი	სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი	სოციოლოგიის საფუძვლები
8.	გოგოლაძე ნიკოლოზ	ასოცირებული პროფესორი	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი	სტრატეგიული მენეჯმენტი; ადამიანური რესურსების მართვა; ადამიანური რესურსების მართვა სპორტში.
9.	მარინა ორტოლაშვილი	მოწვეული ლექტორი	ეკონომიკის მაგისტრი	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები; მმართველობითი აღრიცხვა.

10.	გერონტი ცინდელიანი	მოწვეული ლექტორი	ეკონომიკის მაგისტრი	ფინანსური აღრიცხვა;
11.	ბარამიძე თეო	მოწვეული ლექტორი	სამართალმცოდნეობის მაგისტრი	ბიზნეს სამართალი
12.	გოგიტაური შოთა	ასისტენტ-პროფესორი	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი	ოპერაციული მენეჯმენტი; სპორტის მარკეტინგი; გაყიდვები და ფინანსების მოზიდვა სპორტიში; სპორტული ორგანიზაციების მენეჯმენტი;
13.	დუგლაძე დავით	ასოცირებული პროფესორი	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი	ბიზნეს მოლაპარაკება და საკომინიკაციო უნარები; ბიზნესის საფუძვლები; პროექტების მენეჯმენტი; სპორტის ბიზნესის მენეჯმენტი.
14.	ჯაფარიძე ზაზა	მოწვეული ლექტორი	სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი	მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია; სპორტული დიპლომატია; გლობალიზაცია და სპორტი.
15.	ფახურიძე მურად	მოწვეული ლექტორი	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	მენეჯმენტის საფუძვლები; მეწარმეობა
16.	ობოლაძე დავით	ასოცირებული პროფესორი	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი	მიკროეკონომიკის საფუძვლები; მაკროეკონომიკის საფუძვლები; სპორტის ეკონომიკა.
17.	ბერუკაშვილი ზურაბ	ბიზნესის ადმინისტრირების	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, დოქტორანტი	მარკეტინგის საფუძვლები;
18.	ბზიკაძე მაგდანა	მოწვეული ლექტორი	მაგისტრი. დოქტორანტი	სპორტის სახელმწიფო მართვისა და პოლიტიკის საფუძვლები; სამართლის საფუძვლები
19.	მარგველაშვილი მაია	პროფესორი	ეკონომიკის დოქტორი	პროექტების მენეჯმენტი; სპორტული ღონისძიებების მენეჯმენტი.
20.	ლევან ალფაიძე	მოწვეული ლექტორი	გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი	საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია; მსოფლიო რეგიონული გეოგრაფია.
21.	ბიბილური მალხაზ	ასოცირებული პროფესორი	ფიზიკის დოქტორი, მათემატიკის დოქტორი	კალკულუსი; სტატისტიკა ბიზნესისათვის
22.	პაპიაშვილი მარიამ	ასოცირებული პროფესორი	ფსიქოლოგიის დოქტორი	ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები; სოციალური ასპექტები სპორტში; სტრატეგიული კომუნიკაცია სპორტში.
23.	ბერიაშვილი რუსუდან	ასოცირებული პროფესორი	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი	ლიდერობა
24.	დოლაბერიძე ირაკლი	ასოცირებული პროფესორი		ინოვაციები, ტექნოლოგიები და კვლევა სპორტში.
25.	მაღლაკელიძე მამუკა	ასოცირებული პროფესორი	სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი	სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორია;
26.	ბურჯალიანი არსენ	მოწვეული ლექტორი	ფილოსოფიის მაგისტრი	სპორტის ფილოსოფია

27.	აზალაძე დავით	მოწვეული ლექტორი	ისტორიის მაგისტრი	საქართველოს ისტორია
28.	ქარჩავა სალომე	მოწვეული ლექტორი	ფილოლოგიის მაგისტრი (ანგლისტიკა)	ინგლისური B 2.1; ინგლისური B 2.2
29.	ნესტან ეგეტაშვილი	ასოცირებული პროფესორი		სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი